№ 254 ნოემბერი 23, კვირა 1886 ნოემბერი 23, კვირა № 254

გაზეთი ღირს

თვეე	მან. კ.	თვეე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1887 წლისთვისაც მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9. ბ) შავერდოვის საგაზეთო სააგენტოს (გოლოვინის პროსპექტი, ალექსანდრეს ბაღის ყურეში).

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული თეატრი

დღეს, 23 გიორგობისთვეს

ბენეფისი მ. საფაროვი-აბაშიძისა.

ბანკის თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

დავიდარაბა

კომედია 3 მოქმედ., ფრანცუზ. გადმოკეთებული თ. დავ. ერისთავისაგან.

II

პირველად:

ბარაქალა მასწავლებელო!

ვოდევილი 1 მოქმედ., გადმოკ. მ. საფაროვი-აბაშიძისაგან.

მოთამაშენი: ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ლეონიძისა, მელიქოვისა, ბბ. აბაშიძე, ალექსიევ-მესხიევი, აწყურელი, ცაგარელი და სხვ.

აბონიმენტის ბილეთი ამ საღამოს არ მიიღება.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 22 ნოემბერი

ინგლისმა, ავსტრი-ვენგრიამ, იტალიამ და საფრანგეთმა თავისის მინისტრების პირით უკვე აუხსნეს ქვეყანასა, რასაც თვითვეული მათგანი ჰფიქრობს დღევანდელის პოლიტიკის თაობაზედ. მარტო ერთი გერმანია და არის, რომელსაც ჯერ თავისის მინისტრის პირით საქვეყნოდ სიტყვა არ წარმოუთქვამს ამ საგანზედ, და დღეს აქამომდე მარტო გაზეთების კალმების მისმა-მოსმით კი იკვებებოდა. ყველა ამას ჰკითხულობდა: რას ჰფიქრობს ბისმარკი? რა უნდა ბისმარკსა? ვისა სწყალობს ბისმარკი? ვინა ჰყავს ნიშანში ამოღებული? ათასი სხვა ამისთანა საკითხავები გახდა ჟურნალ-გაზეთობის სალაპარაკოდ. ბევრი კალამი წახდა ამის გამოძიებაში, ბევრი მელანი დაიხარჯა, ბევრი გაზეთი ჰცდილობდა, არა მე ვაჯობო სხვასა, არა მეო ამისთანა ამოცანების გამოხსნაში, მაგრამ ეს საკითხავები მაინც საკითხავებად დარჩა, ამოცანები—ამოცანად და დღეს ქვეყანამ ყოველს ამაზედ თითქმის იმდენივე იცის, რაც იცოდა, ვიდრე მიზეზნი ამ საკითხავებისა გაჩნდებოდნენ. საკვირველი არ არის, რომ ევროპიის ჟურნალ-გაზეთობა ამ ამოცანებზედ მოსცდა; საკვირველი არ არის, რომ ყველას უნდოდა შეეტყო ყოვლად შემძლებელი ბისმარკი როდის აიხსნიდა ბეჭედს დუმილისას თავის ბაგეთაგან და ბაგენი იგი რას წარმოსთქვამდნენ. ბისმარკის გენიოსობამ, რომელმაც შეჰქმნა ერთობა გერმანიისა, იმ ფეხზედ დააყენა დღეს გერმანია, რომ მისი სიტყვა ყოველ სხვათა სიტყვაზედ მძიმეა ევროპის საპოლიტიკო სასწორისათვის, იმოდენად მძიმეა, რომ სასწორი იქით დაიწევს, საითაც იგი სიტყვაა.

აი მიზეზი მისი, რომ მთელი ევროპა დიდის მოუთმენლობით მოელოდდა გერმანიის პარლამენტის შეყრასა, გერმანიის იმპერატორის სეფე-სიტყვასა და ყველაზედ მეტად სიტყვას ბისმარკისას, რომელმაც ამას წინად, როცა ბერლინში იყო, სთქვა, რომ გერმანიის აზრს დღევანდელ საგარეო საქმეთა გამო პარლამენტის წინაშე გამოვფენო. გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი, რომ 13 ნოემბერს პარლამენტი გერმანიისა შეყრილა და იმპერატორს ვილჰელმს უკვე უბძანებია თვისი სეფე-სიტყვა. ევროპიის ჟურნალ-გაზეთობა როგორც მშიერი პურს, ისე მივარდა ამ სიტყვას და გამოწვლა დაუწყო. უფრო ბევრნი ამბობენ, რომ იგი სიტყვა სამშვიდობო სიტყვააო და მშვიდობიანობის მსურველნი ფეხზედ აღარა სდგანან სიხარულითა.

დრო გარდასრულმა, მოხუცებულმა იმპერატორმა ბძანა, რომ გერმანია თავ-მდებია მშვიდობიანობის დაურღვევლობისაო და კეთილად განწყობილია ავსტრი-ვენგრიასთან და რუსეთთანაო. მაშასადამე, ასე გამოდის, რომ იგი სახელოვანი „სამთა იმპერიათა კავშირი“ არ შერყეულა და რაკი არ შერყეულა, მშვიდობიანობასაც არავითარი განსაცდელი არ მოელის.

თვითო-ოროლა კაცნი კი იძახიან: თუ მართლა მშვიდობიანობას არავითარი ფიქრი არ მიუძღვის, იმპერატორმა ვილჰელმმა რად მიაქცია ყურადღება პარლამენტისა მასზედ, რომ საჭიროა გერმანიისათვის 41,000 კაცი კიდევ მოუმატოს თავის მხედრობასა, რადგანაც მეზობლად მყოფთა სახელმწიფოებმა თავიანთი მხედრობა გააძლიერესო. ამასთანაც დაუმატებია იმპერატორს, რომ იმედი მაქვს პარლამენტი უარს არ ეტყვის ჩემს სამხედრო სამინისტროსა, რომელიც ჯარის-კაცთ მომატებისათვის ორმოც და-ათ მილლიონს ჰსაჭიროებსო. ეს მშვიდობიანობის იმედი და ამავე დროს ჯარის მომატება და ამისათვის ამოდენა ფული—როგორღაც ერთიერთმანეთს ვერ უხდება, ერთმანეთს ვერ ეფერება. სამხედრო სამინისტრო გერმანიისა მეტად მოწადინებულია, რომ მალე

ფელეტონი

სურათები

(სოფლის ცხოვრებიდამ)

ზამთარი დადგა.

გაოხრებული და გატიალებულია მინდვრები. გარეშემო, არე-მარე სასაფლაოს მოგაგონებთ. მართლაც და რამდენი გვამი ჰმარხია იქ, ვინ დასთვლის?! მხოლოდ ალაგ-ალაგ ძეძვების ძირში-ღა დარჩენილა ბალახი ჯგუფად, სადაც ამ ბალახს კამეჩის გაუმაძღარი პირი არ შეჰხებია. საბრალო წბილაები დამჭკნარან, მობუზულან და ერთმანერთს ეკვრიან, თითქოს სცდილობენ, ერთმა მეორე გაათბოს. გორ-გური გადუქარავს. მხოლოდ ალაგ-ალაგ მოჩანს შავად მიწა, «ქოჩორა» ტორუას იღბლადა; ბეჩავი ტორუა, გარინდებული დაგორავს და დრო-გამოშვებით შესძახებს, რაკრაკებს გასაწყლებულის ხმით...

დრო და დრო შორს სადმე ტრიალს მინდორზე დაჩნდება მელი თავის ნაკურთხის კუდით, დაცუნცულებს, ხან-და-ხან შესდგება, მოიბრუნებს თავს უკან და გადასკუპდება კუდ-აბზეკილი. გაგიხარიან, ის გაიხარებს, თუ თაგუნა თაინარჩუნა. თუ არა და—გულ-დაწყვეტით შეუდგება ახლად ნადირობას.

აქა-იქ მგლის კვალიც ეტყობა. ღამ-ღამობით ისმის მისი ღმუილი.

საბრალო მგელო, ერთს დღეს მაძღარო და ერთი თთვე მშიერო! იქნება ჩემს მეტს არც-კი არავის უყვარდე!? მიყვარხარ ისე, როგორც-კი შეიძლება ნადირი უყვარდეს კაცსა. რათა? იმიტომ რომ შენს ცხოვრებაში სილამაზეს ვხედავ.

მომაგონდება მთაზე შაფენილი ცხვარი და ღრმა ხევი. გაღმა-გამოღმა ბექ-ბუქია. მეცხვარეს სთვლემს. შენ ტყიდამ ჰნახე ცხვარი და მეცხვარის ყოფა, მაგრამ ვერ გაჰბედე ცხვრის მოტაცება, თუმცა-კი ძლიერ გშიან. შენ უცდი ნისლს; აი დაიძრა ქალიდამ და ხევზედ შემოწვა. მიიწევს აღმა და შენც ნისლს გამოჰყე. მოჰყევები ხევის პირს. ნისლი ცხვარსა და მწყემს დაეფარა შავის ნაბადივით. შენც იქ მიხვედი და ერთს კლდის ნაგლეჯთან აიტუზე. უცდი, ცხვარი მოგიახლოვდეს. ერთი რქა-დაქნილი ჭედილა გამოერჩია ცხვრის ფარიდამ და მოდის შენსკენ ბალახის ძოვნით. ახლოს მოგივიდა კიდეც, შენ გადუხტი, სტაცე პირი ცხვარს, გაეკარ გვერდზე, კუდი მოჰხვიე და გაამალე სწრაფად ხევისკენ; ცოტა ხანიც კიდევ და დაგრჩებოდა ნანადირევი, მაგრამ ყურშამ გაგიგო, დაგედევნა უკეფით. მწყემსმაც გააჭყიტა თვალები, მოიგდო ხელში თოფი და გამოგადევნა ტყვია ზუილით. შენ დასტოვე ნადავლი და მოჰკურცხლე, მაგრამ ცდა მაინც ცდად დარჩა. მწყემსსაც მადლი მოუვიდა, იგი გაფთხილდა და, ვიდრე შინ არ მორეკა ცხვარი, სულ გარშემო უვლიდა,—შენ ელანდებოდი...

თოვლი სძევს მინდვრებზე, ღამეც ბნელია. გშიან, გშიან ძლიერ. მინდვრად ვერაფერი იპოვე საჭმელი, მოატანე სოფელს; შენებურად, მგლურად ეკრობი ღობეებს, იფარებ ხეს, ქვას,—ყველაფერს, რაც კი დაგეფარება, მიიპარები საცხვრისაკე. შენი სული დაიყარეს ძაღლებმა და ასტეხეს ვაი-ვაგლახი, დადგა გრიალი: გარბიან და გამორბიან; ერთი ზევით „წკავწკავებს“, მეორე აქეთ, მესამე იქით; ბებერი, ქეც-მუნისაგან გამოხრული ძაღლებიც-კი ალავლავდნენ, მორთეს ხრინწიანის ხმით „ბუყბუყი“. სოფელს სიცოცხლის ფერი დაედო. შენ საცხვრეში შესვლა მოასწარი, მაგრამ სოფლელები ეზოში შეცვივდნენ, გამოცვივდნენ მუგუზლებით და იძახიან: „მგელია, მგელიაო!..“ მეცხვარემაც მოანთო კვარი და შემოაღო საცხვრის კარები, ორი ცხვარი მოკლული გვანდა. სინათლეზე იკადრე და მოჰფრინდი: გაერდი გარეთ და მიიძაბები ტრიალს მინდორზე. დარჩა პირ-ღია მწყემსი. სოფელმა დიდხანს ილაპარაკა შენზედ, ყველას სიცოცხლის ფერი ედო იმ ხანებში: საცხვრეებს სინჯვა დაუწყეს და ამაგრებენ, თოფებს ტალები უნახეს, ცხრა თუ ათი კაცი დუქანში წავიდა ტყვია-წამლისათვის.

ჭკვიანიცა ხარ, მგელო, სადაც იმარჯვებ, იქვე მიიწევ... შენ საქები ხარ ამ შემთხვევაში, მაგრამ ის მწყემსი-კი, ვისაც შენ ცხვარს უჭამ, საძაგები და სალანძღავია... თუ ის კაცია და თავში ჭკუა აქვს, უნდა ერთი კარგი რამ მახე მოგიგონოს, დაატრიალოს, გაანძრიოს ის გაყინული, გაქვავებული გონება, რომ ორჯელ თუ აზარალებ, მესამედ შენც ამოგშხამდეს...

უნდა გატეხილი გითხრა, მგელო, რომ შენი დანახვა ფრიად გამიხარდებოდა მაშინ, როდესაც ხაფანგში გაბმული დაიწყებდი თვალების აქეთ-იქით ბრიალს და კბილების ღრჭენას პირ-ქაფიანი. მეტის-მეტად საწყინო იქნება, რომ მესამე მისვლაზე რამე მიზეზით თავის თავად მოჰკვდე და ბრიყვმა მწყემსმა მკვდარი გიპოვნოს. არამი იყოს იმისთანა მწყემსზე შენი ტყავი!

მაგრამ მაინც მიყვარხარ, მგელო, და მიყვარხარ იმიტომ რომ, როდესაც შესაჭმელს ცხოველს დაინახავ და ატყობ, მარტოკა ვერაფერს გავხდებიო, დაიწყებ ღმუილს, ეძახი ამხანაგებს, ისინიც ყოველ მხრიდამ ხმას მოგცემენ, ჩქარა შენთანაც მოვლენ და ერთის პირით შეუდგებით ხოლმე საქმეს. მაინც იცოცხლე, მგელო! შენ გშიან და იმიტომ იტაცებ: რამდენია იმისთანა, რომ არცა ჰშიან, არც სწყურიან, და მაინც კიდევ ჰყლაპავს ყველაფერს, რაზედაც-კი ხელი მიუწვდება,—რამდენია სხვა, რომ რასაც მისწვდება, ამტვრევს და ჟლეტს ისე, აჩემების გამო, შექცევის გულისათვის. მაგრამ ის მაინც სხვაა და შენ-კი მგელი ხარ და მგლობა გქვიან სახელად.

⁂

მგელზე საუბრით გავერთე და სოფლის „კანცელია“-კი დამავიწყდა, თითქოს იგი მგელზედ ნაკლებად საყურადღებო იყოს?! ზამთარი რაკი დადგა, „კანცელიამაც“ გაიღვიძა: თუ ზაფხულში კვირაში ერთხელ, და ისიც რის ვაი-ვაგლახით, შესდგება ყრილობა, ეხლა სამჯერ შესდგება ხოლმე. იმართება ყაყანი. ისმის მამასახლისის ძახილი: „დაამწყვდიეთ ეგ ასეთ-ისეთიო.“ მამასახლისი მაშინათვე, რამწამს ამ ხელობას ჩაიბარებს, ისწავლის ხოლმე ამ ვითომ დიდკაცობის სანიშნავ სიტყვა-პასუხს. უფროსი იმას ამ გინებით მოიხსენიებს ხოლმე, მაშასადამე, იმასაც ნება აქვს, თავისზე უნცროსი ამ გვარისავე გინებით მოიხსენიოს!? უხდება კიდეც, სხვას რომ ლანძღავს მამასახლისი. ეხლანდელი მამასახლისი რომ ამ ორის თთვის წინად, ე. ი. სანამ მამასახლისად დააყენებდნენ, გენახათ, შეგეცოდებოდათ, რადგან დონ-კიხოტის ცხენივით გამხმარი და გაბეჩავებული იყო. ეხლა რომ ჰნახოთ, გაჰკვირდებით: ფაშვი დაუსქელებია, ღაბაბი დაჰსახვია ნიკაპის ძირში, თვალებზედ ქონი და სიწითლე გადაჰკვრია. სოფლის „სუდიებს“ ცოტა არ არის ჰშურსთ მა-

მიიღოს ნება-რთვა პარლამენტისა ამ საგანზედ და მალე შეუდგეს ჯარის მომატებასა. დღეს ეს ჯარის მომატების პროექტი უკვე შეტანილია პარლამენტში და გაზეთები ამბობენ, რომ ჯარის მომატების მომხრეთა და უარ-მყოფელთა დეპუტატთა შორის დიდი ბრძოლა და გამათობა გაიმართება პარლამენტშიო. თქმა არ უნდა, რომ ჯარის-მომატების მომხრენი გაიმარჯვებენ. ბისმარკი იმისთანა კაცი არ არის, რომ რაც მოინდომოს, ის არ გაიყვანოს. თუ მაინც და მაინც გაუჭირდა, თვითონ პარლამენტსაც დაითხოვს და ხელ-ახლად არჩევანს დანიშნავს. ამაზედაც ისმის ხმები გერმანიის ჟურნალ-გაზეთობაში.

ეს ყველა-ყველა და საქმე კი მაინც იმაშია, რას იტყვის ბისმარკი პარლამენტში? რა თქმა უნდა, ბისმარკი დიდი მოხერხებული დიპლომატია, მაგრამ დღეს იმისთანა მდგომარეობაშია, რომ მწყურვალი ევროპა წყალზედ უნდა ჩაიყვანოს და წყალი კი არ უნდა დაალევინოს. იმისთანა რამ უნდა სთქვას, რომ ერთსა და იმავე დროს «ჰოც» გამოდიოდეს და «არაცა». რადგანაც დღეს ევროპა ორად არის თითქმის გაყოფილი და ერთი წილი «ჰოს» მოელოდინება ბისმარკისაგან და მეორე «არას» და რადგანაც გერმანია დღეს იმისთანა ყოფაშია, რომ არც ერთის წყენაა მისთვის სახეირო და არც მეორისა — ამიტომაც ადვილი წარმოსადგენია, რა გაჭირებაში იქნება ბისმარკი პარლამენტის წინაშე. აბა აქ გამოადგება ბისმარკს იგი ხელოვნება დიპლომატობისა, რომელიცა ჰქადაგობს, ვითომც კაცს სიტყვა იმისთვისა აქვს მიცემული, რომ სათქმელი, გულის-ნადები დაჰმალოსო.

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ მოგვივიდა ახლად დაბეჭდილი წიგნი ივ. როსტომაშვილისა: русская рѣчь и первая книга чтенія съ азбукою для грузинъ. ეს წიგნი სულ სხვა წესით არის შედგენილი, ვიდრე კალანდარაშვილის სახელმძღვანელო. წიგნი სულ 73 გვერდს შეიცავს და ჰღირს ერთი აბაზი.

⁂ ამას წინად გზათა სამინისტროში წარუდგენიათ ერთი ახალი პროექტი კიდევ იმის თაობაზე, თუ როგორ უფრო ადვილი მოსახერხებელია, რომ ტფილისსა და ვლადიკავკავ შუა რკინის გზა გაიმართოს. პროექტის დამწერის აზრით ამ გზას მოუნდება არა უმეტესს 58 მილლიონის მანათისაო.

⁂ ყრმათა საკითხავის ჟურნალის უქონლობა ყველას დიდად სანანურადა აქვთ. საყმაწვილო ჟურნალი „ნობათი“ შარშანვე მოისპო. შარშანვე სცდილობდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ თავად მოეკიდნა ხელი საყმაწვილო ჟურნალის ბეჭდვისათვის, მაგრამ დღესაც ამ საგანზედ არა ისმის-რა. ტფილისში საკმაოდ ბლომად არიან ქართველნი მასწავლებელნი, რომელთაც არ გაუჭირდებოდათ ერთის საყმაწვილო ჟურნალის ბეჭდვა. ამბობენ, რომ ამ ჟამად ტფილისის ზოგიერთ ქართველთ მასწავლებელთ ფიქრადა აქვთ კვლავ დაიწყონ საყმაწვილო ჟურნალის ბეჭდვაო და ამ აზრით აპირობენ მთავრობას თხოვნა მიართვან და ბეჭდვის ნება ითხოვონო.

⁂ ახირებული საქმე დამართნია ქალაქს სიღნაღს. პეტერბურგიდამ მოსვლიათ სიღნაღელებს რამდენიმე ფურცელი პროგრამისა ჟურნალ „Живописное Обозрѣніе“-ს რედაქციიდამ ასეთის ადრესით: Сигнахскому городскому головѣ. რადგან სიღნაღში ჯერ საქალაქო დებულება არ არის შემოღებული და მაშასადამე სიღნაღელებს თავიც არა ჰყავთ, ფოსტალიონებს ერთი ალიაქოთი შესდგომიათ: ვინ უნდა იყოს ეს სიღნაღის თავიო. თვითონ სიღნაღელები-კი ძალიან გამწყრალან. რაღა ჩვენ გვიპოვა რუსულის ჟურნალის რედაქციამ მასხარად აგდების ღირსიო, ამბობენ თურმე გაჯავრებული სიღნაღელები.

⁂ სიღნაღითგან გვწერენ, რომ ამ თთვის გასულს აქ ბალის გამართვას აპირობენო. ბალის შემოსავალი დანიშნულია აქაურ პატიმართა სასარგებლოდაო. ბალის გამართვას დიდის ამბით ემზადებიან აქაურებიო. ასრე გასინჯეთ, სამხედრო მუსიკის მოწვევასაც-კი აპირობენ თუქურმიშიდამ ამ საქმის მოთავენიო. ფასი ბილეთისა ორი და ათი შაური იქნებაო.

⁂ გორ-ზემოდ, ფრონის ხეობისკენ, რამდენიმე სოფელია, რომელთაც ტყე ძალიან შორსა აქვთ და ყოველ ზამთარს ამ სოფლების მცხოვრებნი უშეშობის გამო დიდ გაჭირვებაში არიან ხოლმე. აქაურებიო, გვწერენ იქიდამ, თითქმის ორს დღეს უნდებიან ტყიდამ ერთის ურმის შეშის მოტანას; ერთის ურემის შეშის მოტანაზე ორი კაცი და ყევარი ხარი სცდებაო. მოცდენასა და შეწუხებას კიდევ არავინ ინაღვლის, რომ ხან-და ხან უამინდობა არ გვიშლიდეს იმ სიშორეთ ტყეში სიარულსაო. მტკვარზედ რომ ხიდი იყოს, მაშინ ტყე ძალიან დაგვიახლოვდებაო. მართლაც, მოხსენებული სოფლები მტკვარზე ძალიან ახლო არიან და მტკვარგაღმა ციციანთ ტყეებია, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ მტკვარში გასვლაა ძნელი ზამთარში შეშის ურმისათვისაო.

⁂ უშეშობით დიდს გაჭირვებაში არიან აგრეთვე ის სოფლელებიცა, რომელნიც დიდ-ლიახვის მარჯვენა მხარეზედ მდებარეობენ. ამ სოფლებსაც ძალიან შორსა აქვთ ტყეები. აქაურები, როცა გაუჭირდებათ ხოლმე, ამტვრევენ ღობეებს და იმითი მიდიან იოლად. ხან არამც თუ ღობეებსა, სარსა და საბძლებსაც-კი არა ზოგვენ, ვენახებში საუკეთესო ხეხილს გადასჭრიან ხოლმე შეშის გულისათვისაო. გლეხ-კაცის უბედურობა ის არის, რო თავის-დღეში წინდა-წინვე არ იზრუნებს შეშისთვის. შემოდგომაზევე, როცა თავისუფალი დრო აქვს, ქორწილებსა, წირვებსა და ქეიფს უნდება და მერე, როცა ზამთარი კარს მიადგება, გზები გაფუჭდება, ამინდი აირევა, მეტი ღონე რომ აღარა აქვს, ხეხილსა სჭრის ვენახში შეშადაო.

⁂ ქუთაისში ძრიელ გავრცელებულა მოსწავლეთა-შორის წითელა და ხველა. მადლობა ღმერთსაო, ამბობს გაზ. „მწყემსი“, რომ სიკვდილით ჯერ არავინ არ მომკვდარა ამ სენის გამოვო.

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, რომ სამეგრელოს სამღვდელოების შეკრებილება სასულიერო სასწავლებლის საქმეთა გამო დანიშნულია ნოემბრის 25 საო.

⁂ ვლადიკავკავიდამ გვწერენ: გიორგობისთვის 11-ს ვლადიკავკავის ერთს სოფელში შემდეგი საცოდაობა მოხდა: ერთის გლეხისას ღამე შეპარულიყვნენ ქურდები და როგორც აეშვათ ორი ცხენი თუ არა, ამ დროს სახლის პატრონის გასათხოვარს ქალს გარედ გამოეხედა. საბრალო ქალს გაეღო თუ არა კარი, გავარდნილიყო ქურდის თოფი და მოჰხვედროდა წვივში. ქალს მწვავის ხმით დაეყვირნა. ყვირილზედ გამოცვივნულიყვნენ სახლითგან კაცები და შეემჩნიათ ქურდები. ქურდები უცებ სადღაც გარდაცვივდნენ და ვეღარსად იპოვნესო. საბრალო ქალს სისხლი ბევრი სდენოდა და მნახველები ამბობენ, რომ მორჩენა მისი ძალიან საეჭვოაო.

⁂ იქიდამვე გვწერენ: იმავე ღამეს სოფ. ბესლანიყავში მცხოვრებელს გლეხს მისცვივნოდნენ ავაზაკები. ჯერ თურმე გარეთგან დაახალეს თოფი ფანჯარას და მემრე თურმე ჩადგნენ კარებშია. სახლის პატრონმა თოფის ხმა რომ გაიგონა, წამოავლო თოფს ხელი და მიაშურა კარებს გარეთ გამოსასვლელად; როცა კარების ურდულს დაუწყო ჩხაკუნი გასაღებად, ავაზაკებმა სეტყვასავით დაუშინეს თოფები კარებს გარეთგან. ტყვია თურმე ვერ დაიმაგრა კარებმა და სახლის პატრონი დაიჭრა მარცხენა მკლავში. ჭრილობა სუმბუქი აღმოჩნდა და მაგდენი არა უშავს-რაო. ავაზაკები ვეღარსად იპოვესო: ისე უცებ გაჰქრენ, რომ კაცს ეგონებოდა, ან ცამ ჩაჰყლაპა, ან მიწამ უყო პირიო.

⁂ აი კიდევ ერთი ამბავი ვლადიკავკავიდამ: 14-ს გიორგობისთვეს, ღამე სოფ. ოლგინსკისა და ტოიყაუს სამძღვრის ყარაულებს მოუხდათ თოფის სროლა ქურდებთან. ყარაულები იყვნენ ექვსი კაცი და ქურდები ათი კაცი ყოფილიყვნენ. დაეწყოთ თოფის სროლა ერთმანერთისათვის. თოფის ხმაზედ მეორე მიჯნის ყარაულებიც მოშველებოდნენ პირველ ექვსთ და რაკი ყარაულების თოფის ტყვია ძალიან გახშირებულიყო, ქურდები გაქცეულიყვნენ და ცხრა სულის მოპარულის ძროხისთვის თავი დაენებებინათ. ძროხები აღმოჩნდა სოფ. არდონში მცხოვრებლის ოსისა. მეორე დღეს ნახეს ის ადგილი, საითგანაც ქურდები თოფს ისროდნენ, და ოცდა რვა ნასროლი ბერდანკის გილზი იპოვნეს.

მასახლისისათვის კეთილი ცხოვრება, მაგრამ თავის თავ-მოყვარეობას სხვა გზით ასიამოვნებენ ისინიცა. აგერ, ერთი სუდიათაგანი ჰყვირის: «დაამწყვდიეთ» ო.

— რათა!—ჰკითხავს დამნაშავე.

— იმიტომ რომ „უფალი სუდია“ არ დამიძახეო.

მამასახლისმა თავის-თავის უკადრისობად ჩასთვალა „სუდიი“-ს ასეთი ქცევა. ამას და „უფალ სუდიას“ მაინც მუდამ ჩხუბი აქვსთ: არა მე მაქვს „პრავა“ დამწყვდევისა, არა მეო. შენ არ იცი „ზაკონი“ და მე ვიციო, ეუბნება ერთი მეორეს. ერთი მეორის დამცირებას ცდილობს, რომ ამით ამაღლდეს ხალხის თვალში. „უფალი სუდია“ უფრო გამოცდილი კაცია: მამასახლისის დასამცირებლად სხვას რომ ვერაფერს გახდა, როცა მამასახლისს ელაპარაკება, „შვილო“-ს დაატანს ხოლმე:

— რათა, შვილო, დინჯად მოქცევა სჯობიან?

ან კი რა ქნას „უფალმა სუდიამ“, თუ ლანძღვა გინებით მტერს ვერა სძლია, ამ საშუალებით ხომ მოერევა: ხალხის წარმოდგენით, მამამ შვილზედ მეტი იცის და, მაშასადამე, «უფალი სუდია» მამასახლისზედ ჭკვიანია. მამასახლისს ესმის „უფალის სუდიის“ პოლიტიკა და ბრაზ-მოსული მიიტანს იმაზედ იერიშს:

— საიდამა ვარ შენი შვილი, საიდამ? საიდამ?—დააყრის ზედი-ზედ მამასახლისი.

„უფალი სუდია“ დინჯად, ხმამაღლა ეტყვის, თან თვალი ხალხისკენ უჭირავს:

— „ჩემ ხელში გაიზარდე, აი ამოდენა ღლაპი,—უჩვენებს ხელით მიწის პირზე,—ხელში მჭერიხარ და „შვილობა“ რომ გითხრა, დიდი საქმეა?!

„უფალი სუდია“ თავის ღირსების და აბრუს განსადიდებლად აი კიდევ რას იტყვის ხოლმე:

— ამ წინაზე ქალაქ რო ვიყავ, პრიჭტავმა, აი, კაცო, ჩვენმა პრიჭტავმა, დამიძახა ჩაიზე. ღვთისა წინაშე მეც არ დაუზარდი. გამომკითხა სოფლიჰ საქმეები და დამავალა: ეინძლო სოფელ კარგად მოუარო, კარგად შეინახოვო, „ზაკონი“ შენს მეტს არავის ესმისო...

განა მარტო მამასახლისი და სუდია ხომ არ იბრძვიან. წამოდგება «დარჩომილი», მოხუცი გოგია და დაიწყებს თავის შვილზე ჩივილს:

— დავაბინავე, დავაცოლშვილიანე და ლამის ეხლა სიმშილით სული ამომართვას, დამარხვას ვინღა იტყვის!

გოგიამ მაზრის უფროსთანაც იჩივლა... მაზრის უფროსს ეწყინა ძრიელ შვილისაგან მამის დაჩაგვრა და მოინდომა გოგიას ურჩის შვილის გალახვა, მაგრამ გოგიამ ვერ გაიმეტა შვილი.

— არა, შენი ჭირიმე, ბატონო, აპატიევე, როგორც იქნება გაუშველდებით.

აქ უნებურად მომაგონდა კუპრიან მურავუშკინი,*) რომლის მდგომარეობაც ჩვენის გოგიას მდგომარეობას ჰგავს. ხომ კარგად მოგეხსენებათ, კუპრიან მურავუშკინმა არ დასტოვა არც ერთი სასამართლო, თვით უმაღლესი კანცელარიაც კი, რომ საჩივარი არ შეეტანოს თავის შვილზედ: ყველას თავ-და-პირველად იმასა სთხოვდა, რომ გაეროზგნათ მისი ურჩი შვილი. თვით კუპრიანის წიგნიც შვილთან მიწერილი ეგონებ უნდა გახსოვდეთ. წერილს თავზე აწერია: „Вдохновеніе всевышняго чрезъ бывшаго волостного старшину Купріяна Муравушкина сыну моему семеону для вразумленія отъ развратныхъ поступковъ.

Сынъ мой Симеонъ!

„Господь вседержитель Адонаи Саваофъ въ первый самый день отъ сотворенія свѣта, когда сотворены были рыбы и птицы а впослѣдствіи того времени человѣкъ и жена его изъ ребра—Создатель и промыслитель нашъ I. Христосъ на горѣ Хоривѣ утверди законъ: Чти отца Своего.

შემდეგ და შემდეგ:

„Больше ста двадцати пяти рублей серебромъ издержано мною на твое просвѣщеніе не касаясь обуви и одежи, каковая позимнему была справлена и полѣтнему положенію; харчей же яицъ гусей и по грибной и по капустной части которые твоему наставнику препровождены я съ великодушіемъ не утруждаюсь вспоминать“ და სხვ. და სხვ.

ამისთანა „ვდოხნოვენიე“ ჩვენს გოგიას ჯერ-ჯერობით არ მოსვლია და ღმერთმა ნურც მოჰგვაროს. თუნდაც რომ მოუვიდეს, საიდამ, რომ წერა არ იცის? ვსთქვათ, იმან იცოდეს, შვილს არ ეცოდინება. დაე, ვსთქვათ, ორივემ იციან წერა-კითხვა, გოგიას მაინც ასე პირ-წყლიანად, საბუთიანად წერა არ შეეძლება, ისე როგორც შვილზე ამ პირ-წყლიანობას ძალა არ ექნება.

⁂

ყველა კაცის თავ-მოყვარეობა სწუხს, „პრავას“ და „ზაკონს“ ეძებს, მარტო ჩემს მეზობელს, ბებერს ქეთევანას არ გაუვლის თავში ფიქრად ესენი; იმას თუ ტარი და საჩეჩელი არ მოეშალა, ხომ არ შესწუხდება, თავს არ აიტკივებს. რაკი პირველად მამალი იყივლებს, ადგება, შაანთებს ცეცხლს, ჩამოჯდება კერის პირას, სჩეჩს მატყლს... საჩეჩლის კბილები წკრიალებს; თუ საჩეჩი არა აქვს, ტარს დაუწყებს ბზრიალს; გაისველებს თითებს და გააბზრიალებს. თავის ზარმაცს რძალსაც გაალვიძებს და დაისომს გვერდით:

— ადექი, ქალო, შვილო, რამდენი გძინავს, ქა!

ჯერ დასტუქსავს რძალს, მემრე-კი დაუტკბება. ცოტას კიდეც წაიჭორიკავებს:

— არ გაგიგია, ქალო, რა საქმე ჩაუდენია ბერუაანთ სესელასა,—თეკლეს შეჰხტომია, სარეცხი სდგომია, საყურე შეუწყვეტნია, ბეჭედი წაურთმევია და უკოცნია კიდეც,—არც ახლა მისცემენ!?

— მეხი კი დაეცარე შავ-ხორეშანსა! მეზობლებში თურმე დადის და იძახის: ქალო, ქეთევანაზე მეტი წვრილ-ფეხობა მყავსო. ისე იმან იხაროს!“

რაკი გარიჟრაჟდება, ხომ მოსვენება აღარ იცის, რა არის. სულ ფუსფუსობს, დაცუცუნებს თაგვივით. იმ დილითვე დაუყრის ქათმებს საკენკს, ევლება თავს, ეძახის: „ჯუ, ჯუ, ჯუ, ჯუკრრ!“ თქვენს მტერს, რომ ქეთევანა წივილ-კივილს ასტეხს, თუ ქორი «ჩამოეტია» და ქათამი გასტაცა, გაედევნება თავ-გადაგლეჯილი და მისძახის: „სად მიგაქვს, ქორო, შე გულ-კვდარო, ქათამი!“

მთელი ერთი თთვე აღარ დაავიწყდება ქეთევანას ქორის ოინი, რამდენჯერაც მოიგონებს მოტაცებულს ლაბუა ვარიას, იმდენჯერ გულს ჩაიმჯიღავს.

ვაჟა-ფშაველა

---

*) გლებ უსპენსკის ერთს მოთხრობაშია გმირად გამოყვანილი ეს კუპრიან მურავუშკინი და ქვემოდ მოყვანილი რუსული წერილიც იქიდამ არის ამოღებული.

*** „ივერიის“ მკითხველმა უკვე იცის, რომ წელს კახეთში ჩვეულებრივი ღვინოები არ დადგა. ამ საგნის თაობაზე გვწერენ კახეთიდამ, რომ მართალია შიდა-კახეთში მომჟავო ღვინოებია ეხლა, მაგრამ იმედი აქვთ გაკეთდება და საზაფხულოდ მშვენიერი ღვინოები იქნებაო. საზაფხულოდ გაკეთდება ღვინოები, მაგრამ ეხლა რა ჰქნან ამოდენა ღვინის მოვაჭრეებმა?.. ეს არის მიზეზი, რომ ქიანჭველასავით მოედნენ სირაჯები წინა-მხარს. აგერ ერთი თთვეა, რაც წინა-მხარში დადგა ღვინოები და ეხლა თითქმის რომ მომეტებული წილი უკვე ღვინოებისა გაიყიდა. ჩვენ ცოტა არ არის გვაკვირვებს, რათ იყიდება აგრე იაფად ღვინოები მაშინ, როდესაც სხვაგან საქართველოში წელს რიგიანი ღვინოები არ მოსულა. აქ ჯერ ოც და-ექვსსა და ოც-და-ათს თუმანს არ ასცილებია ფასი ერთს ურემ ღვინოზე. შარშან 40 თუმნამდისინ იყიდებოდა აქ ურემი, წელს კი აგრე დაეცა ღვინის ფასი.

ნაკვესი

დალაქები, მოგეხსენებათ, ოხუნჯები არიან. პარიკმახერებიც იგივე დალაქები არიან, მხოლოდ ხარისხით აღმატებულნი. ქალაქში ერთს ამასთანა პარიკმახერთან შევიდა ერთი წარჩინებული კაცი თავის გასაკრეჭად. თუმცა ეს კაცი მელოტი იყო მაგრამ თითო-ოროლა მუშა-თმება აქა იქ კიდევ შერჩენოდა.

რომ გაათავა, ჰკითხა პარიკმახერს:

—რა უნდა მოგცეო.

—ექვსი შაურიო.

—მეც ექვსი შაური და ვისაც თავი თმით სავსე აქვს, იმასაც ექვსი შაურიო, უხუმრა გაკრეჭილმა.

— თუ მათქმევინებთ, თქვენ უნდა მეტიც გამოგერთოსთ: მაგოდენა ტიტველა მინდორზედ თმა გასაკრეჭად თვითო ბეწვობით აქა-იქ უნდა გვეძებოვო, უპასუხა სიტყვა მოსწრებულმა პარიკმახერმა ხუმრობითვე.

* * *

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

სამწუხაროა, როდესაც კაცი სიტყვით ერთს ამბობს და საქმით კი სულ სხვას სჩადის. მეტადრე სამწუხაროა მაშინ, როდესაც ეს კაცი საზოგადოების აღზრდას, მოძღვრობას ჩემულობს. ამ მოძღვრის სიტყვას მაშინა აქვს ნდობა, გავლენა და მნიშვნელობა, თუ გულ-წრფელობაც მოსდევს, თუ არა და მაშინ ამის სიტყვა, ქადაგება მატყუარობას, მაცდურობას ემსგავსება.

ყველა ამას ვამბობთ ჩვენ რუსეთის გამოჩენილ მწერალ გრაფ ტოლსტოის შესახებ, რომელიც აი ეს ოთხი წელიწადია საქვეყნოდ ქადაგობს, რომ ყველა კაცი თავის მოყვასს უნდა ემსახურებოდეს, უნდა უფრო მეტსა ჰფიქრობდეს სხვაზე, ვიდრე თავის თავზეო. ასეთია ბ-ნ ტოლსტოის მოძღვრება, რომელზედაც ამ ბოლოს დროს ასე ბევრს ლაპარაკობენ რუსეთში. რამდენად ასრულებს თვითონ ტოლსტოი თავის სიტყვას, ცხადადა სჩანს ერთის ქალის მოთხრობითგან, რომელიც გაზეთ «Современныя Извѣстія»-შია დაბეჭდილი.

> ქალი ქმარ-შვილიანი ყოფილა და ბევრი გაჭირება და უსამართლობაც გამოუვლია ცხოვრებაში. როდესაც ბ-ნ ტოლსტოის მოძღვრობა წაუკითხავს, ძალიან გახარებია, რომ ძლივ ერთი ქრისტიანი და კეთილი კაცი გამოჩენილაო. ქალს წერილი გაუგზავნია და ზოგიერთი დარიგება და რჩევა უთხოვნია. პასუხისთვის ქალს აღარ დაუცდია, თითონ წასულიყო ტოლსტოის სანახავად.

ქალი სახლში არ შეუშვიათ. კარის-კაცს უთქვამს, რომ ბატონი შინ არ არისო. ქალს მაინც არ დაუჯერებია და ქუჩაში ლოდინი დაუწყვია. ამ დროს ერთბაშად ქუჩის კარი გაღებულა და სახლიდამ გამოსულა თვით ტოლსტოი. დაუნახავს ტოლსტოის კარებთან ქალი და მკაცრად უკითხავს.

> —რა გნებავთ თქვენ?
>
> — მე მსურდა.. მე მინდოდა გრაფი მენახა...
>
> — რათა? რა გინდათ იმისაგან? მე ვარ გრაფი,—დაუყვირა ტოლსტოის განრისხებულის ხმით.
>
> ქალი სულ მთლად დაფანტულიყო და ორიოდე სიტყვა ძლივსღა ეთქვა.
>
> — ჰო, მახსოვს თქვენი წერილი. თქვენი თავ-გადასავალი ყურადღების ღირსია, მაგრამ მე მაინც ვერას გიშველით. (გრაფმა ხმა აუმაღლა და ხელების ქნევა დაიწყო.) მომაბეზრეს თავი ამ წერილებით. ათასი მთხოვს ფულსა. ყველას საითგან გავუძლვე, მე იმოდენა შეძლება არა მაქვს. მე როგორ ვუშველო ყველასა? დამტანჯეს სულითაც და ხორცითაც, ამიტომ ყოველთვის სოფელში მივრბივარ მოსასვენებლად.

ქალს დაუმშვიდებია ტოლსტოი, რომ მე სრულიადაც ფულის სათხოვრად არ მოვსულვარო. პირიქით, მე უფრო იმიტომ მოვედი თქვენთან, რომ მომეწონა თქვენი აზრი, რომელიც თქვენ ბეჭდვით გამოსთქვით. თქვენა სწერდით, რომ კაცს შეუძლიან მეზობელს უშველოს უფულოდ, თუ გული შესტკივა და რჩევას, დარიგებას მისცემსო. მეც აი ამ გვარ შემწეობისთვის მოვედი თქვენთანაო.

> — როგორა მწერდით? თთვეში რა შემოსავალი გაქვთ თქვენ?—ჰკითხა თურმე ტოლსტოიმ უფრო გაცეცხლებულმა.
>
> — თთვეში 25 მანათამდინ გვოულობო, უპასუხა ქალმა.
>
> — აი ხომ ჰხედავთ, უთქვამს ტოლსტოის სრულიად გულ-მოსულს,—25 მანათი გქონიათ თთვეში და კიდევაც იძახით, რომ ცოტააო. აი სუყველანი ეგრე სჩივიან: ვისაც 50 მანათი აქვს თთვეში, ისიცა სჩივის, რომ არა მყოფნისო. არ მეყურება, ღმერთმანი, რატომ არ შეუძლიანთ 10 მანათით იცხოვრონ, ვისაც 10 მანათზე მეტი არა აქვს.

სხვის მქადაგებელი, ბ-ნი ტოლსტოი, ნეტავი თვითონ რამდენსა ჰხარჯავს თთვეში? გვგონია კი, რომ 10 კი არა და არც 100 ჰკმაროვბს!..

> ჰო, თქვენ კიდევ თქვენს შვილებზე მწერდით რაღასაც.., სად გინდათ თქვენ სწავლა მიაღებინოთ?—უკითხავს ტოლსტოის.
>
> — გიმნაზიაში გაპირებო, უპასუხნია ქალს.
>
> —ჰო, აი ეგრე,—შეუყვირნია ტოლსტოის სრულიად გულ-მოსულს,—ყველას ეს გიმნაზიები აურჩმებია. ნეტავი რა გაგიხდათ, რა არის ეს გიმნაზიები? გიმნაზიები მარტო ჰრყვნიან ყმაწვილებს. რას გამოსდგომიხართ?

ქალს, რასაკვირველია, მაშინვე ვერ გაუბედნია ეკითხნა და მერე კი შეუტყვია, რომ თვით ტოლსტოის შვილები „პოლივანოვის გიმნაზიაში“ სწავლობენ, იმ გიმნაზიაში, რომელიც საკუთრად შეძლებულ და დიდ-კაცებისთვის არის გამართული.

> —მე გირჩევთ, უთქვამს გრაფს, თქვენი შვილები ხარაზებად გამოჰზარდოთ. მე ვეცდები, რითიმე დაგეხმაროთ კიდეცა, აი ჩემ ცოლს ნაცნობები ჰყავს და იქნება ისინი რითიმე შეგეწიონ.

ქალს ამაზედ საფუძვლიანად უპასუხნია, რომ ყმაწვილებს ცოტაოდენი სწავლა-განათლება მაინც დასჭირდებათ და აბა ხარაზებში კი რა განათლებას მიიღებენო. ამიტომ მინდა გიმნაზიაში თუ სხვა სასწავლებელში მივსცეო. ტოლსტოის ამისთვის ყური აღარ დაუგდია და მხოლოდ უთქვამს:

> — რასაც დაგპირდით, ვეცდები შეგისრულოთ, მხოლოდ თქვენ კი ნუღარ მოხვალთ ჩემთანა: მე თქვენი ადრესი მაქვს დაწერილი და შემიძლიან ყველაფერი შეგატყობინოთ.

ამის შემდეგ ოთხმა წელიწადმა გაიარაო, ამბობს ბოლოს ქალი,—ტოლსტოის მე აღარ მოვგონებივარო და, რასაკვირველია, მეც თავი აღარ შემიწყენია გრაფისთვის და აღარაფერი გამიხსენებიაო...

ნუ თუ ეს ამბავი და კიდევ ბევრი სხვაც ტოლსტოის ცხოვრებიდამ ცხადად არ გვიმტკიცებს, რომ თვით ტოლსტოისაც მტკიცედ არა სწამს ის, რასაც ჰქადაგობს. რატომ, სიტყვით ბევრის თქმა შეიძლება, მეტადრე თუ კაცი მოცლილია და ლუკმა პურისთვის არა ზრუნავს, მაგრამ „სიტყვა-სიტყვაა, საქმე კი სხვაა!“ არა, ესე არ იქცეოდნენ ისინი, ვისაც გულ-წრფელად სწამდათ თავიანთი მოძღვრება!..

***

ერთი ახირებული ქორწინება მომხდარა ვარშავაში!

> შუაღამისას ერთ კათოლიკების მღვდელთან,—მოგვითხრობს გაზეთი „Новости“, მისულა რამდენიმე კაცი და უთხოვნია: ერთი 80 წლის ბებერი კაცია ძრიელ ავადა და ეხლავ უნდა წამოხვიდეთ და აზიაროთო. მღვდელი მაშინვე წასულა და მართლაც სულთ-მობძაგი მოხუცი უნახავს. მღვდელი წმ. საიდუმლოს შესასრულებლად მომზადებულა. ამ დროს მოხუცი მოუბრუნდება თურმე მღვდელს და ეტყვის: მე მსურს რომ ეხლავე ჯვარი გადამწეროთ აი ამ ქალზე. იქვე იდგა 17 წლის ქალი. მღვდელი ჯერ უარზე დადგა. ხოლო, რადგან აქვე დამსწრე ექიმმა უთხრა, რომ ავად-მყოფს სულ ნახევარ საათი სიცოცხლე აღარ დარჩომიაო, მღვდელი დასთანხმდა და ქორწინების რიგი შეასრულა.

80 წლის „მეფე“ თურმე იმ ღამესვე გარდაიცვალა. 17 წლის „პატარძალმა“, რასაკვირველია, ძალიან არ იწყინა ასე უდროვოდ დაქვრივება, რადგან მომაკვდავმა მოხუცმა უნუგეშოდ არ დასტოვა თავისი ნახევარ საათით ცოლი და მთელი თავისი დიდი შეძლება ამას უანდერძა.

უცხოეთი

ბოლგარია. პეტერბურგითგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Standard“-ს, რომ გენერალი კაულბარსი სტამბოლში საგანგებოდ იმიტომ წავიდა, რომ რუსეთის მთავრობის სურვილისამებრ სულთანი დაიყოლიოს და სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი ჯერ-ჯერობით აღმოსავლეთ რუმელიის გენერალ-გუბერნატორად დაანიშვნინოსო.

— ბერლინის გაზეთები დარწმუნებით ამბობენ, რომ რუსეთმა სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატად ოფიციალურად დაასახელაო.

— რომის გაზეთი „Réforma“ ლაპარაკობს ბოლგარიის საქმის გამო და, სხვათა შორის, ამბობს: თუ ავსტრია სალონიკს დაიჭერს, ისევე აზარალებს იტალიას, როგორც ისა, რუსეთს რომ ბოლგარია მიეთვისებინაო. აი ამიტომაც იტალიას ჯერ ფიქრადაც არ მოსვლია ის ამბავი, რომ ავსტრიას მიემხრობი, ყველაფერში დაეთანხმებიო. იტალია თუ ავსტრიას მიემხრო, მანამდე არ მიემხრობა, ვიდრე პირობის წერილს არ ჩამოართმევს, რომ ბალკანიის სახელმწიფონი დამოუკიდებელნი და თავისუფალნი იყვნენო.

— გაზ. „Новости“-ს დეპეშით სწერენ ვენითგან: დიდნი სახელმწიფონი თან-და-თანა რწმუნდებიან, რომ რუსეთის სურვილი ის არის, ბალკანიის სახელმწიფონი დამოუკიდებელნი იყვნენო და რომ ბერლინის ხელ-შეკრულობა არ დაირღვესო.

— ოსმალეთს ურჩევია დიდთა სახელმწიფოთათვის, რომ საერთო ნოტა შეადგინოთ და ამ ნოტის საშუალებით მოვითხოვოთ, რომ ბოლგარიაში ახალი სამინისტრო ამოირჩიონო.

— გაზეთების სიტყვით, გაშოვს ფული უშოვნია სესხად რუმინიის საერო ბანკის შემწეობითაო.

— დიდთა სახელმწიფოთა განზრახვა აქვსთ მოგროვდნენ, ევროპის კონფერენცია გამართონ და ისე მოილაპარაკონ ბოლგარიის საქმეზედ. ამბობენ, რომ ამ აზრს ყველაზედ მეტად ოსმალეთი ადგიაო. სულთანი გამიდი აქამდე ჯერ კიდევ ვერა ჰხედავს ითავოს ბოლგარიის საქმე, რადგან კარგად არის დარწმუნებული, რომ თუ ოსმალეთი პირ-და-პირ ჩაერევა ამ საქმეში და აღმოსავლეთ რუმელიაში ჯარებს ჩააყენებს, საქმე ძალიან გამწვავდება და საერთო უთანხმოება და შეტაკება მოხდებაო. აი ეს არის მიზეზი, რომ ოსმალეთი ცხადად იცავს თავის აზრს კონფერენციის შეკრებაზედ და ამ აზრს იტალია და ინგლისიც ეთანხმებიანო.

— ბერლინში ამ კონფერენციის საქმეს ძალიან გულ-ცივად ეკიდებიან თურმე, რადგან ბისმარკს გარდაწყვეტილი აქვს, რომ მოლოდინის პოლიტიკას მისდიოს იმ დრომდე, ვიდრე ევროპის მშვიდობიანობას რაიმე შიში არ ექმნებაო. ამ გარდაწყვეტილებას ბისმარკისას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვესო. ვინ დაგვაჯერებს, რომ ბისმარკი მაშინ არ ჩაერიოს საქმეში, როცა გვიანღა იქმნებაო, როცა კაცის ღონესა და შეძლებაზედ არ იქმნება დამოკიდებული საქმეთა მსვლელობის შეცვლაო? ამის გამო გერმანიის კანცლერი დიდს პასუხის-გებაში აგდებს თავის თავსაო.

ბიბლიოგრაფია

(*П. В. Дзюбенко*—виноделіе на Кавказѣ. (экономич. очеркъ). Тифлисъ, 1886 г. ц. 30 к.

(პ. ვ. დზიუბენკო—ღვინის კეთება კავკასიაში. (ეკონომიური გამოკვლევა). ტფილისი 1886 წ., ფ. 30 კ.

დღეს, როდესაც ჩვენ სამეურნეო სტატისტიკა თითქმის სრულიად არა გვაქვს, ძალიან ძნელია სხვა-და სხვა საგნების ეკონომიურად გამოკვლევა და მათი შესწავლა. უფრო მეტს ვიტყვით, დღეს ეს თითქმის შეუძლებელიც არის. ამ მოკლე ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში ადგილი ნებას არ გვაძლევს გამოვუდგეთ ამ ჭეშმარიტების დამტკიცებას, მაგრამ ბ-ნ დზიუბენკოს ბროშურის განხილვიდამაც მკითხველი ცოტაოდნად მაინც მიჰხვდება, რამდენად მართალია ჩვენი ზემოდ ნათქვამი სიტყვები.

თავის ბროშურაში, რომელიც სულ 63 გვერდს შეიცავს, ბ-ნი დზიუბენკო ლაპარაკობს კავკასიის ღვინის კეთებაზე, როგორც ერთს ჩვენის ქვეყნის ეკონომიურის კეთილდღეობის საგანზე. ავტორი ლაპარაკობს მთელ კავკასიაზე. ამიერ კავკასიას ჰყოფს სამ ნაწილად: რიონის დავაკება, მტკვრისა და მაღლობი არაქსისა. შემდეგ იწყებს თვითეულად ამ ალაგების აღწერას. ავტორს, ეტყობა, ბევრი ადგილი მოუვლია ჩვენს ქვეყანაში და ბევრსაც ლაპარაკობს, მაგრამ იმაზედ-კი არა, რაც ღვინის კეთებას შეეხება. ამის მაგიერ ავტორი გამოსდგომია და თავის წიგნში ჩაუწერია ყველაფერი, რაც-კი გავლით უნახავს და გაუგონია, თუმცა ხშირაც ამ ნახულსა და გაგონილს არაფერი კავშირი არა აქვს ღვინის კეთებასთან. მთელი წიგნი, მაგალითად, გავსებულია იმ ნაირის ამბებით, რომელიც თითქმის ყველამ იცის, არამც თუ ღვინის საქმის მცოდნე კაცმა, არამედ გაზეთის ისეთ მკითხველმაც-კი, რომელსაც თავის დღეში ვენახი არც-კი უნახავს. ავტორი, სამწუხაროდ, ამ საყოველთაოდ ცნობილ ამბებშიაც-კი სცდება. მაგალითად, ბ-ნი დზიუბენკო, თავის წიგნის მე-26 გვერდზედ ბრძანებს, რომ კახეთში ვაზსა თავისუფლად გარდიგარდმო გადებულს ლატნებზე უშვებენო (пускаютъ свободно на перекладины); ცხადია, რომ აქ ავტორი ამას ამბობს იმაზედ, რასაც კახეთში თალარს, ან ხეივანს ეძახიან. სუყველამ იცის, რომ თალარი ძალიან იშვიათად იციან კახეთში, და მხოლოდ სიამოვნების გულისთვის აკეთებენ ზოგიერთნი სასახლის ბაღებში. კახეთში ვაზი ჰიგო-მელქანზედ არის მიკავებული, დაბალ-დაბალ ბუჩქებად, რომლის სიმაღლე თითქმის ერთს საჟენს არ ასცილდება.

აგრეთვე დიდი შეცდომაა ავტორის მხრივ, როდესაც ამბობს, რომ კახეთში ღვინო კოკებით (31 გვერდი) ისყიდებაო. ვინ არ იცის, რომ იქ ღვინოსა სწყვენ თუნგობით, ჩაფობით, საპალნობით და ურმობით.

რადგანაც ბ-ნ დზიუბენკოს თავისი წიგნაკი ამ ნაირად მარტო ყველასათვის ცნობილ ამბებით გაუვსია, რასაკვირველია, იმისი წიგნი საყურადღებო არ იქნებოდა, თუ არ შაეზავებინა საარაკო ამბებით და ამასთან არ გამოეჩინა თავისი სწავლა და ცოდნა. და ეს ცოდნაც მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ წიგნი აუჭრელებია, სრულიად უადგილოდ, სხვა-და-სხვა ქიმიურის შეერთების სახელებით, როგორც, მაგალითად, ეფირი, ღვინის მარილი და სხვანი. ეს კიდევ არაფერი. ავტორი, სხვათა შორის, იმასაც გვაუწყებს, რომ ვენახე ისეთი დიდრონი ქვევრები, რომელშიაც კაცები ჩამრჩვალანო; რომ გავიცანი ერთი ხანში შესული აზნაური, გვარად ნიკოლოზ კახიანი, რომე-

ლიც ისტორიოგრაფ ბროსსესაც უნახავს ამ 50 წლის წინად და თავის წერილებში იხსენიებს, როგორც ხნიერ და ღონიერ კაცსა, თუმცა ბევრი ღვინო უსვამს თავის სიცოცხლეშიო; რომ იმპერატორმა ნიკოლოზმა განგებ კაცი გამოგზავნა ერევანში ყურძნის წასაღებად. წიგნში შეხედებით კიდევ ბევრს ამისთანა ამბებს, რომელიც, ვითომ და, გვირკვევს უმთავრესს საგანს, ე. ი. ღვინის კეთებას. რასაკვირველია, ისევ მკითხველების გასართობად, ავტორი თავის წიგნაკში გვიხატავს ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა ადგილების სიმშვენიერეს და ერთ ადგილას კიდევ ჯერ კახეთის მომხიბლავს ბუნებას გვიწერს და მერე მოგვითხრობს, როგორ მოსწონებია კახეთის ქალების სილამაზე და სიკეკლუცე.

ყველა ეს ძალიან კარგია, იტყვის მკითხველი, მაგრამ ეს ეკონომიურ გამოკვლევას მაინც ხომ არ შეადგენსო? დიაღ, ასეც გახლავს და ამიტომ გვგონია, უკეთესი იქნებოდა, რომ ბ-ნ დზიუბენკოს თავის წიგნაკისთვის „ეკონომიურ გამოკვლევის", მაგიერ მგზავრის ანუ „ტურისტის წერილები" დაერქვა.

თუ გნებავსთ, წიგნაკში ცოტაოდენი საეკონომიო საგნების გამოც არის სიტყვა ჩამოგდებული, ხოლო რა ღირსებისაა ავტორის საეკონომიო მოსაზრება საეკონომიო საგნების გამო, ამას ეხლავე მოგახსენებთ.

რასაკვირველია, სუყველა ეკონომიურ გამოკვლევას უნდა პირველად სტატისტიკური საბუთი. ეს საბუთები ავტორს ამოუკრებია ოფიციალურის ცნობებიდამ. რა ღირსება აქვს ამ გვარ საბუთებს, ეს ყველამ ვიცით, და ავტორი კი ამას ისეთს მნიშვნელობას აძლევს, რომ ვენახების ყოველ წლიურ მომატებასაც კი პროცენტებითა სთვლის. გარდა ამისა, ავტორს არც ამისთანა ეკონომიური ჭეშმარიტება დაჰვიწყებია, როგორც, მაგალითად, რომ ყურძენს სწურავენ შიშველ ან წაღებიან ფეხითაო, სთვლის დროს მღერიან, ამდენი და ამდენი დღიური უჭირავს ამ და ამ ადგილას ვენახს, ამდენი ღვინო მოდის და სხვანი. ასე გვგონებათ, რომ ეს უკანასკნელი ციფირები შეურყეველ საბუთებზეა დამყარებულიო.

ერთის სიტყვით, ავტორი სუყოველისფერს ამბობს, მხოლოდ თავი-და-თავი კი დაჰვიწყებია, ე. ი. დაჰვიწყებია ის, რაც უმთავრესს საგანს შეადგენს ყოველ ეკონომიურ გამოკვლევისასა: ავტორი არას ამბობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ-და-ამ მხარის სასოფლო მეურნეობისათვის ჯერ თითონ ვენახებს და მერე ღვინის კეთებას. რომ უფრო ცხადად გავაგებინოთ მკითხველებს ჩვენი აზრი, ვიტყვით ორიოდე სიტყვას ამ საგანზედ.

ბევრი ადგილია, სადაც ღვინის კეთება უმთავრესი წყაროა გლეხის კეთილდღეობისა; მეორე ადგილას ვენახები აქვთ მარტო ყურძნისთვის, როგორც, მაგალითად, დიდ ქალაქების გარეშემო და თათრის ვენახები განჯისა და ერევნის გუბერნიაში, სადაც მაჰმადიანთ ყორანი უკრძალავს ღვინის კეთებას; სხვა ალაგებში კიდევ ვენახს უვლის კაცი, როცა მოცალება აქვს, როცა მიწის ხვნა-თესვას, ბოსტნეულების მოვლას ათავებს. ამის გარდა, რასაკვირველია, კიდევ ბევრი სხვა გარემოებაა და ყოველი ეკონომიურად ცხოვრების მიმომხილველი უნდა ეცადოს გამოიკვლიოს და შეისწავლოს, რამდენადაც შესაძლოა, რა ადგილი უჭირავს და რამდენად ჰშველის ღვინის-კეთება და საზოგადოდ ვენახების გაშენება ხალხის კეთილ-დღეობასა.

ბატონი დზიუბენკო კი ამაებზე სრულიად არა ჰფიქრობს. იმას თავისის კალამისათვის არ უკადრებია ამ არა-საყურადღებო საგნების გამოკვლევა. მთელი წიგნი დაწერილია მხოლოდ ერთის აზრის დასამტკიცებლად, აი რას გვაუწყებს ავტორი: ჩვენი ღვინო ცუდადა კეთდება, სამზღვარ-გარედ საუცხოოთ აკეთებენო. იქაურ შამპანსკის, ბორდოს და სხვა ღვინოებს ისეთს ალტაცებაში მოჰყავთ ბ-ნი დზიუბენკო, რომ ასეთს რჩევას იძლევა: უნდა ყოველის ღონის-ძიებით ვეცადნეთ, რომ ჩვენს კავკასიაში მოვიწვიოთ ფულის პატრონები და იმათ მივცეთ ჩვენი სიმდიდრე— ჩვენი ვენახებიო.

რასაკვირველია, ეს ძალიან კარგი იქნება. მართალია, იქნება მაშინ ჩვენი ღვინოები საზღვარ-გარეთისას დაემჯობინოს, მაგრამ ჩვენ კი ღვინის წვეთი დაგვენატრება და ბევრს ლუკმა პურიც მოესპობა.

ჩვენ გვინდაო, განაგრძობს კიდევ ავტორი, დიდ-ძალი ფული და იმისთანა კაცები, რომელთაც შეეძლოთ ღვინის კეთება სხვა-და-სხვა საუკეთესო ღონის-ძიებით. ქართლში, მაგალითად, და არა თუ მარტო ქართლში, თითქმის მთელს კავკასიაში, ბ-ნ დზიუბენკოს აზრით, მხოლოდ ერთი გამოჩენილი, თითქმის იდეალური ღვინის-მკეთებელია, რომელიც ასახელებს და ამდიდრებს ჩვენს ქვეყანას,— ეს გახლავთ თავადი ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკიო. თავად მუხრანსკის აქვსო 452 დღიური თავისი საკუთარი ვენახი და 800 დღისას კიდევ იჯარით იღებს სხვა-და-სხვა წვრილმან მემამულებისაგანაო. თითქმის სიხარულისაგან ფეხზედ აღარა სდგას ბ-ნი დზიუბენკო, როდესაც ამბობს, რომ ამნაირი მეორე ვარსკვლავი ამოდის ჩვენს კახეთშიო, სადაც მევენახობა დაუწყვია მდიდარ და შეძლებულ კაცს, ბ-ნ შერემეტევს, შემდეგ ძალიან სწუხს ავტორი, რომ „მოშურნე და ზარმაცმა ხალხმა" ერევნის გუბერნიიდამ გააძევა საწყალი ფრანგი მარტენი, რომელსაც რამდენიმე ათასი მანეთი მოუტანია და ჩვენის ქვეყნის გაბედნიერება სდომებია, მაგრამ საცოდავი კაცი დაუღუპავთ, დაუქცევიათ და ისე გაუძევებიათ ჩვენს უმეცარს ხალხსაო. ისე ძრიელ ეცოდება ეს საბრალო ფულის პატრონები, რომელთაც ვითომ დიდის გულმოდგინებით ჰსურთ ჩვენი გაბედნიერება და ჩვენ კი უზრდელად ვექცევით, რომ ბ-ნი დზიუბენკო რჩევას აძლევს, რა გვარად უნდა მოიქცნენ ეს ქვეყნის გამბედნიერებლები, რომ მაგრად და საფუძვლიანად ჩაგვკიდონ თავიანთი ბჭყალები.

ასე და ამ სახით ბ-ნი დზიუბენკო ეფერება ფულიან კაცებს და სახელს უკეთებს. ბოლოს რა უნდა იყოს ამისი? ისა, რომ დღევანდელი ვენახის მკეთებელი, რომელიც ამასთანავე ღვინის მკეთებელიც არის და მაშასადამე ღვინის-კეთებისათვის გასამრჯელოს იღებს, მარტო ვენახის მკეთებელად-ღა დარჩება, ე. ი. დღიურ მდაბიო მუშად და საფასური ღვინისკეთებისა, რომელიც ასე თუ ისე კაი ლუკმას შეადგენს, ფულის პატრონს დაეთმობა. რასაკვირველია, ფულიან კაცის ხელში ღვინო სიკეთეს მოიგებს და ვენახის მუშა კაცი კი სიმდიდრეს წააგებს.

ა. ფ—გი

დეპეშა

20 ნოემბერს

ოდესა. რუსეთის სანაოსნო საზოგადოებამ თავის ერთს გემს „Константинъ"-ს მიანდო, რომ იაროს ოდესისა და ვარნას შუა და მოასხას ხოლმე ვარნიდამ ოდესაში წამოსვლის მსურველნი. ამ გემს ბოლგარიიდამ განდევნილნი ბოლგარნი უსასყიდლოდ მოჰყავს აქაო.

ოდესაში მყოფ ბოლგარიის განდევნილებს მოუვიდათ წერილები თავიანთ ქვეყნიდამ, რომ ცანკოვი რუსეთში აპირობს წამოსვლას და ოდესაში გზად გამოივლისო.

სოფია. გრეკოვი, სტოილოვი და კულჩევი დღეს დილით წავიდნენ ბელგრადს, სადაც დაჰყოფენ ერთს დღე და ღამესაო. აქ ისე ჰგონიათ, რომ კოროლი მილანი მოინდომებს იმათ ნახვასაო.

21 ნოემბერს

ასხაბადი. რადგან ამიერ-კასპიის რკინის გზა მალე სრულად მზად იქნება, „აზიის ამხანაგობა" და „საქონლის გასაგზავნ-გამოსაგზავნი საზოგადოება" ჰმართავს ბუხარასა, სამარყანდსა და ჩარჯუაში ბუხრის ბამბის დასატკეპნსა და დასატკეცს მაშინებსაო, ჰმართავენ აგრეთვე საქონლის საწყობებსაო. კოკანიდამ 100,000 ფუთი საქონელია ჩამოტანილი ჩარჯუაშიო.

ბელგრადი. ჯერ-ჯერობით არ იციან, აქ მომავალი დეპუტაცია ბოლგარიისა ერთს დღეს დაჰყოფს თუ არა ბელგრადშიო. სტრანსკი მხოლოდ იმასა შუამდგომლობდა, რომ სამზღვარზედ დეპუტაციას დაბრკოლება არა მისცემოდა-რაო. ის ამბავი, რომ ვითომ კოროლს მილანს ჰსურს დეპუტაცია ინახულოს, მართალი არ არის, რადგან ასეთი სურვილი წინააღმდეგი იქნებოდა სერბიის ყოფა-ქცევისა ბოლგარიის საქმის გამოვ. იმაზედ, რომ ვითომ დეპუტაცია ინახულებს კოროლს მილანსაო, აქ არაფერი ისმის; არაფერი ისმის იმის თაობაზედაც, მოითხოვს თუ არა დეპუტაცია კოროლის ნახვასაო.

ჟურჟევო. შუმლაში კიდევ დაუპატიმრებიათ რამდენიმე მეციხოვნე აფიცერი იმის გამო, რომ სხვა აზრისა არიან პოლიტიკაზე. სამხედრო სასწავლებელში, როგორცა სჩანს, უფრო დიდი მოძრაობა ყოფილა, ვიდრე ეგონათ. ფინანსთა მინისტრი გეშოვი იმიტომ გადააყენეს თანამდებობიდამ, რომ ფინანსების საქმე დიდს გაჭირებაშია. სამხედრო მინისტრს ნიკოლაევს ბრძანება გამოუცია, რომ არც ერთი დროებით შინ დათხოვნილი ჯარის-კაცი პოლიტიკის საქმეში არ გაერიოს, თორემ ლაშქრობის დროის სამსჯავროს მიეცემაო.

22 ნოემბერს

სტამბოლი. რუსეთის ცირკულიარში მოკლედ არის მოთხრობილი ისტორიულად ბოლგარიის ამბები და სხვათა-შორის ნათქვამია, რომ გენერალ კაულბარსისათვის მინდობილი საქმე არც აგრე უნაყოფო აღმოჩნდაო. მისდამი მინდობილი საქმე ორ-გვარი იყოვო: 1). გენერალს შემწეობა უნდა აღმოეჩინა ბოლგარიის მმართველებისათვის რჩევითა და დარიგებითა და 2). უნდა დაეარა ბოლგარია და შეეტყო, რას ფიქრობს ნამდვილად ბოლგარიის ერიო. პირველი საქმე ვერ შესრულდა, რადგან ბოლგარიის მმართველებმა უარი სთქვეს და არ მოისმინეს არც ერთი რჩევა გენერალის კაულბარსისა; დასასრულ ფილიპოპოლში მომხდარმა ამბავმა სრულიად დაამტკიცა, რომ ბოლგარიის მთავრობა ეწინააღმდეგება და ამიტომ გენერალი კაულბარსი და რუსეთის კონსულები იძულებულნი შეიქმნენ წამოსულიყვნენ ბოლგარიიდამ. რაიცა შეეხება მეორე საგანს მინდობილობისას, გენერალი კაულბარსი დარწმუნდა, რომ ბოლგარიის ერი სრულიად წინააღმდეგია იმათი, ვისაც ხელში უჭირავს ეხლა იმათის ქვეყნის მართვაო, სულ ბოლოს ცირკულიარში ნათქვამია, რომ რუსეთს იმედი აქვს მშვიდობიანის გზით მოახერხდეს ამ საქმის გადაწყვეტაო.

პარიჟი. მინისტრებმა ქაღალდი მიართვეს სამსახურიდამ დათხოვნისა პრეზიდენტს გრევის, რადგანაც პალატამ, სამინისტროს წინააღმდეგ, შეიწყნარა წინადადება პრეფექტების თანაშემწეთა თანამდებობის გაუქმებისაო.

ბერლინი. რეიხსტაგმა დაიწყო განხილვა სამხედრო კანონ-პროექტისა. სამხედრო მინისტრმა სთქვა, რომ ეს კანონ-პროექტი აუცილებელი საჭიროებააო. „ნურავის-კი ნუ ეგონებაო, სთქვა მინისტრმა, — ეს კანონ-პროექტი ვითომ იმისი მომასწავებელი იყოს, რომ ეხლავე ომის შიში კარ-წინ მოგვდგომოდესო მართლა რომ ასეთი შიში იყოს ომისა, მაშინ საპროექტოდ დროც აღარ იქმნებოდა და პირ-და-პირ ლაშქრობის მზადებას უნდა შევდგომიყავითო; მაგრამ ჩვენ ისეთს დროსა ვცხოვრობთ, როცა შეურყეველის მშვიდობიანობის იმედი არ უნდა გვქონდესო; საფრანგეთი სულ წინ მიდის და ჰბეგრავს ერს სამხედრო ბეგრითა მშვიდობიანობის დროსაო. ახლა გკითხავთ, მათ, წინ უნდა გავასწრებინოთ იმ ერსა, რომელიც ჩვენ მოსვენებას არ გვაძლევსო?

„ივერიის ფოსტა."

მ—გს. მ. გ—ზ—რ—შ—ვილს. მართლა განზოგადოებული სენი აგვიღიათ საგნად და მეტად განკერძოებული საბუთი-კი მოგვყავთ. იგი ერთად-ერთი ლექსი, რომელსაც თქვენ არჩევთ, სალაპარაკოდ არა ჰღირს.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

1887 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 „	9 „ 50 ›	5 „	5 „ 25 ›
10 „	8 „ 75 ›	4 „	4 „ 75 ›
9 „	8 „ — ›	3 „	3 „ 50 ›
8 „	7 „ 25 ›	2 „	2 „ 75 ›
7 „	6 „ 50 ›	1 „	1 „ 50 ›

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისას გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ."

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი, სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი —60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისთვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозв. ценз. Тиф. 22 ноября, 1886 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель). Караванъ-Сарай Земельнаго Банка რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე